

## ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების დამატებითი სერვისის „ინტერნეტ მშობელი“ პირობები

1. სს „სილქნეტი“ აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ინტერნეტ მომსახურებით, შეძლებენ ისარგებლონ დამატებითი სერვისით „ინტერნეტ მშობელი“;
2. აღნიშნული დამატებითი სერვისის მიზანია აბონენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინტერნეტის უსაფრთხოებაზე, მათ შორის, არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის ხელშეწყობა;
3. დამატებითი სერვისი წარმოადგენს ინტერნეტის ვებ გვერდების ფილტრაციის და შერჩეული ვებ გვერდების (ჯგუფის) დაბლოკვის ფუნქციების ერთობლიობას:
  - 3.1. ინტერნეტ ვებ გვერდების ბლოკირება კატეგორიების მიხედვით (ზრდასრული (Adult), არალეგალური (Phishing), ტორენტები, ჩატები, ფორუმები);
  - 3.2. უსაფრთხო ძიების ფუნქცია - ძიების შედეგების ფილტრაცია Google Chrom და Bing -ში, სხვა საძიებო სისტემების ბლოკირება;
  - 3.3. ინტერნეტ ვებ გვერდების თეთრი და შავი სიების მართვა;
  - 3.4. უსაფრთხო /შეზღუდული YouTube-ის ფუნქცია - დაიბლოკება YouTube-ზე განთავსებული კონტენტი, რომელიც YouTube-ის აბონენტის მიერ არის მონიშნული, როგორც „არასათანადო“.
  - 3.5. დამატებითი სერვისის საწყისი ავტომატური კონფიგურაცია მოიცავს მხოლოდ ვებ გვერდების გარკვეული კატეგორიების ბლოკირებას, ხოლო დანარჩენი ფუნქციების (3.2., 3.3., და 3.4. პუნქტები) კონფიგურაცია აბონენტმა თავად უნდა მოახდინოს მომსახურების პორტალიდან [mysilknet.com](http://mysilknet.com), დამატებითი სერვისის "ინტერნეტ მშობელი" მართვის გვერდიდან.
4. დამატებითი სერვისი ხელმისაწვდომია ნებისმიერი ტიპის როუტერის მიღმა არსებული, ფიზიკური პირი აბონენტების სარგებლობაში არსებული მოწყობილობისთვის, რაც არ არის შეზღუდული მოწყობილობის ოპერაციული სისტემით.
5. დამატებითი სერვისის კონფიგურაცია გავრცელდება როუტერთან დაკავშირებულ ყველა მოწყობილობაზე, თითო მოწყობილობაზე სერვისის განცალკევებულად მართვა არ ხდება.
6. „სილქნეტის“ ოპტიკური (GPON) ტექნოლოგიის მომსახურებების მიმღები ფიზიკური პირები. P2P და DSL ტექნოლოგიის მომსახურებებზე აღნიშნული სერვისი არ იქნება ხელმისაწვდომი.
7. აბონენტი შეძლებს დამატებითი სერვისის ჩართვას/რეგისტრაციას მომსახურების პორტალიდან [mysilknet.com](http://mysilknet.com).
8. დამატებითი სერვისის „ინტერნეტ მშობელი“ აქტივაცია ხდება მომსახურების პორტალის [mysilknet.com](http://mysilknet.com)-ის მეშვეობით, ოპტიკური ინტერნეტის მომსახურების ბოქსში განთავსებული შესაბამისი უსაფრთხო ინტერნეტის მართვის გვერდიდან.
9. მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვებ გვერდიდან აბონენტს დამატებითი ბმულის სახით აბონენტს ეხსნება წვდომა სერვისის მართვის გვერდზე, სადაც აბონენტი ახდენს სერვისის კონფიგურაციას 3.2., 3.3., და 3.4. პუნქტებში მოცემული ფუნქციონალის მიხედვით.
10. თუ აბონენტმა თავად არ მოახდინა სერვისის კონფიგურაცია, მას ავტომატურად ჩაერთვება საწყისი კონფიგურაცია, რომელიც მოიცავს მხოლოდ ვებ გვერდების გარკვეული კატეგორიების ბლოკირებას, ხოლო დანარჩენი ფუნქციები (3.2., 3.3., და 3.4. პუნქტები) არ ექნება აქტიური.
11. დამატებითი სერვისის მართვა და პროფილის კონფიგურაცია შესაძლებელია მხოლოდ მომსახურების პორტალი [mysilknet.com](http://mysilknet.com)-იდან და მხოლოდ რეგისტრირებული აბონენტის მიერ.
12. მომსახურების ცენტრსა და ტექნიკურ მომსახურებას ექნებათ წვდომა აბონენტის პროფილზე მხოლოდ ნახვის რეჟიმში, აბონენტის მომართვის შემთხვევაში მისი პროფილის გადამოწმების მიზნით.
13. დამატებითი სერვისის ღირებულების გადახდა ხდება „სილქნეტის“ მოქმედი გადახდის არხებით. გადახდისას იდენტიფიკატორი არის ინტერნეტ მომსახურების ანგარიშის ნომერი.
14. დამატებითი სერვისის ტარიფი განისაზღვრება ყოველთვიური გადასახდელი თანხით (სტანდარტული საათობრივი დარიცხვის პრინციპით), ხოლო აქტივაციიდან პირველი სამი თვე

- "სილქ+" მომხმარებლები სერვისს მიიღებენ ინტერნეტ მომსახურების საფასურის ფარგლებში. სერვისის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს.
15. დამატებითი სერვისის მოქმედების პერიოდი არ არის შეზღუდული. სერვისის პირობების გაცნობა შესაძლებელი იქნება აღნიშნულ სერვისზე აქტივაციამდე, სილქნეტის ვებ პორტალის საშუალებით.
  16. თუ „სილქნეტი“ თავისი ინიციატივით შეწყვეტს დამატებით სერვისს, „სილქნეტი“ ვალდებულია წინასწარ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე გააფრთხილოს მომხმარებელი დამატებითი სერვისის შეწყვეტის თაობაზე. სერვისის გაუქმებისას, შესაბამის ანგარიშის ნომერზე არსებული დადებითი ბალანსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აბონენტისთვის დაბრუნება განხორციელდება კომპანიაში მოქმედი წესის შესაბამისად.
  17. დამატებითი სერვისის შეჩერება დამოკიდებულია ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების შეჩერებაზე.
  18. აბონენტი, მის მიერ დაფიქსირებულ საკონტაქტო ელ.ფოსტის მისამართზე, ყოველკვირეულად მიიღებს მისი იუზერიდან დავიზიტებული ინტერნეტ გვერდების, ასევე დაბლოკილ ინტერნეტ გვერდებზე შესვლის მცდელობების შესახებ ინფორმაციას.